

Agreement

For amendment of the Memorandum of understanding signed between the government of Georgia and Bakhvi Hydro Power LLC, dated May 14, 2009

Tbilisi

27 August 2012

The present agreement is signed on the August 27, 2012 (date of effectiveness).

On the one hand the government of Georgia (hereinafter referred as 'Government') represented by the Ministry of Energy and Natural Resources of Georgia Mr. Vakhtang Balavadze, pursuant to decree of the Government of Georgia #1649 , dated August 27, 2012,

On the other hand Bakhvi Hydro Power LLC, with legal address at 1, Sandro Euli Str. 0186 Tbilisi, Georgia (the "Company"), represented by Director Asel Shulenbaeva,

On the other hand Electricity System Commercial Operator JSC, with legal address at 2, Baratashvili str. 0105 Tbilisi, Georgia (the "ESCO") represented by General Director Irina Milorava,

draw up above mentioned agreement on the following:

1. The Memorandum of Understanding between the Government of Georgia and Bakhvi Hydro Power LLC, on Construction and Operation of the hydro power plant (Bakhvi III), dated the May 14, 2009 (hereinafter referred as "MOU") is amended and the annex No 2 and the annex No 5 of the MOU shall be read as enclosed addition of the present agreement.


2. The present agreement comes in force after the date of signing by the parties and is indivisible part of the Memorandum of understanding signed between the government of Georgia and Bakhvi Hydro Power LLC , dated May 14, 2009.

3. The present agreement is bind in two languages: Georgian and English, three copies in each language. Upon interpretation, priority is to given to the Georgian version.


Signed on behalf of the government of Georgia:




Signed on behalf of Bakhvi Hydro Power LLC



Signed on behalf of Electricity System Commercial Operator JSC



Capacity		
No	Name	Estimated Capacity in MW
1	Bakhvi III Hydro Power	9.8

A handwritten signature in black ink, appearing to be 'A. V. Singh', is written over the bottom right corner of the table and extends into the white space below it.

Annual Capacity		
No	Name	Annual Capacity mln. KWH
1	Bakhvi III Hydro Power	38



შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

საქართველოს მთავრობასა და შპს „ბახვი ჰაიდრო პაუერს“ შორის 2009 წლის 14 მაისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისი

27 აგვისტო 2012 წელი

წინამდებარე შეთანხმება დადებულია 2012 წლის — აგვისტოს (ძალაში შესვლის თარიღი)

ერთის მხრივ, საქართველოს მთავრობა (შემდგომში „მთავრობა“), წარმოდგენილი საქართველოს ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ვახტანგ ბალავაძის მიერ, რომელიც მოქმედებს საქართველოს მთავრობის 2012 წლის 27 აგვისტოს №1649 განკარგულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში,

მეორეს მხრივ შპს „ბახვი ჰაიდრო პაუერი“, რომლის იურიდიული მისამართია საქართველო, 0186 თბილისი, სანდრო ეულის ქ. №1 (შემდგომში „კომპანია“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ასელ შულენბაევას მიერ,

და

მესამეს მხრივ სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (შემდგომში „ესკო“), რომლის იურიდიული მისამართია საქართველო, 0105 თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2 წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ირინა მილორავეას მიერ,

ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

1. საქართველოს მთავრობასა და შპს „ბახვი ჰაიდრო პაუერს“ შორის ბახვი ჰესი 3-ის მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ 2009 წლის 14 მაისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში (შემდგომში „მემორანდუმი“) შეტანილ იქნეს ცვლილება და მემორანდუმის

დანართი №2 და დანართი №5 ჩამოყალიბდეს წინამდებარე შეთანხმებაზე თანდართული რედაქციით.


2. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და წარმოადგენს საქართველოს მთავრობასა და შპს „ბახვი ჰაიდრო პაუერს“ შორის 2009 წლის 14 მაისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს.

3. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ორ ენაზე: ქართულ და ინგლისურ ენებზე, თითოეულ ენაზე სამ ეგზემპლარად. ამასთან ინტერპრეტაციის დროს შეუთანხმებლობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულენოვან ვერსიას.

ხელმოწერილია:

საქართველოს მთავრობის სახელით


ხელისმომწერი:



ხელმოწერილია:

შპს „ ბახვი ჰაიდრო პაუერის“ სახელით


ხელისმომწერი:



ხელმოწერილია:

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ სახელით


ხელისმომწერი:



სიმძლავრე		
N	დასახელება	დადგმული სიმძლავრე მგვტ.
1	ბაზვი III ჰესი	9.8



წლიური გამომუშავების ოდენობა		
N	დასახელება	წლიური გამომუშავება მლნ.კვტსთ
1	ბაზვი III ჰესი	38





საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1649 2012 წლის 27 აგვისტო ქ. თბილისი

2009 წლის 14 მაისს დადებულ ურთიერთგაგების
მემორანდუმის შესახებ

1. მოწონებულ იქნეს „საქართველოს მთავრობასა და შპს „ბაზვი ჰაიდრო პაუერს“ შორის 2009 წლის 14 მაისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობას, შპს „ბაზვი ჰაიდრო პაუერსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის დასადები შეთანხმების პროექტი.

2. საქართველოს მთავრობის 2008 წლის 18 აპრილის №107 დადგენილებით დამტკიცებული წესის 7¹ პუნქტის საფუძველზე, საქართველოს მთავრობასა და შპს „ბაზვი ჰაიდრო პაუერს“ შორის 2009 წლის 14 მაისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმით კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად წარმოდგენილი საბანკო გარანტიის ოდენობა განისაზღვროს 1 020 000 აშშ დოლარის ოდენობით.

3. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, შეთანხმებას საქართველოს მთავრობის სახელით ხელი მოაწეროს საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა ვახტანგ ბალავაძემ.

პრემიერ-მინისტრი

გამოყენებულია ელექტრონული
ხელმოწერა

ივანე მერაბიშვილი





საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA



KA010135697998712

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ. ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№33851

09 / აგვისტო / 2012 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი
რესურსების სამინისტროს


საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენი ამა წლის 7 აგვისტოს №02/1498 წერილით წარმოღვენილი „საქართველოს მთავრობასა და შპს „მახვი ჰიდრო პაუერს“ შორის 2009 წლის 14 მაისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილებების შეტანის შესახებ“ შეთანხმების პროექტი და გაცნობებთ, რომ მის მიმართ ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გაგვაჩნია.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო,
მინისტრის პირველი მოადგილე

თინა ბურჯალიანი

სს "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი"
Electricity System Commercial Operator JSC

08.08.2012 № 011759



შპს „ბაზვი ჰაიდრო პაუერთან“
გაფორმებული მემორანდუმის
ცვლილებისთვის

საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების
მინისტრის პირველ მოადგილეს
ქალბატონ მ. ვალიშვილს

ქალბატონო მარიამ,

საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2012 წლის 2 აგვისტოს #02/1499 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ „საქართველოს მთავრობასა და შპს „ბაზვი ჰაიდრო პაუერს“ შორის 2009 წლის 14 მაისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილებების შეტანის შესახებ“ შეთანხმების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები არ გავაჩნია.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი

ვ. ამოკავაძე

PKF

Accountants &
business advisers

შპს „ბასვი ჰაიდრო კაშერი“

ანგარიში

**მდინარე ბახვისწყალზე ”ბასვი 3“
ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პროექტში
განხორციელებულ ინვესტიციაზე**

და

დამოუკიდებელ აუდიტორთა ანგარიში

**დაპირისპირებაზე აუდიტორთა ანგარიში
საქართველოს მთავრობას
შპს „ბაზვი ჰაიდრო პაუერ“-ს მენეჯმენტს**

1. განსახილველი საკითხი

შპს „ბაზვი ჰაიდრო პაუერის“ მენეჯმენტის თხოვნით ჩვენ განვიხილეთ საქართველოს მთავრობასა და შპს „ბაზვი ჰაიდრო პაუერის“ შორის 2009 წლის 14 მაისს გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის თანახმად მდინარე ბაზვისწყალზე “ბაზვი 3” ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პროექტში 2009 წლის 14 მაისიდან 2012 წლის 25 ივლისის ჩათვლით პერიოდში განხორციელებული ინვესტიციების ანგარიშგება (შემდგომში „ინვესტიციაზე ანგარიშგება“).

შპს „ბაზვი ჰაიდრო პაუერის“ და საქართველოს მთავრობას შორის 2009 წლის 14 მაისს გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმი (შემდგომში „მემორანდუმი“) მოითხოვს, რომ კომპანიამ მდინარე ბაზვისწყალზე “ბაზვი 3” ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პროექტში (შემდგომში „პროექტი“) განახორციელოს 9,700,000 აშშ დოლარის (ცხრა მილიონ შვიდასიათასი აშშ დოლარი) ინვესტიცია. მემორანდუმი აგრეთვე განსაზღვრავს პროექტის სხვა მოთხოვნებსაც, მათ შორის ასაშენებელი ჰიდროელექტროსადგურის მდებარეობას, სიმძლავრეს, მშენებლობის და ექსპლუატაციაში მიღების ვადებს და წლიური გამოძევაების ოდენობას.

მემორანდუმის მიხედვით შპს „ბაზვი ჰაიდრო პაუერი“ უფლებამოსილია საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს სხვა პირს მემორანდუმით გათვალისწინებული მისი უფლებები და/ან ვალდებულებები.

თანდართული ინვესტიციაზე ანგარიშგება წარმოადგენს 2009 წლის 14 მაისიდან 2012 წლის 25 ივლისის ჩათვლით პერიოდში მდინარე ბაზვისწყალზე “ბაზვი 3” ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პროექტში განხორციელებული ინვესტიციების თანხებს.

2. განსახილველი საკითხის შეფასების კრიტერიუმები

წინამდებარე ანგარიშის მიზნებისათვის პროექტში განხორციელებულ ინვესტიციად განიხილება მემორანდუმში განსაზღვრული “ბაზვი 3” ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის მიზნით შპს „ბაზვი ჰაიდრო პაუერის“ და, დღევანდელი მდგომარეობით, მისი ძირითადი აქციონერის, შპს „ქეი ჯი ენერჯის“ მიერ 2009 წლის 14 მაისიდან 2012 წლის 25 ივლისის ჩათვლით პერიოდში გადახდილი თანხები, რაც შემცირებულია პროექტის მიზნებისთვის შეძენილი აქტივების რეალიზაციიდან მიღებული თანხებით, ასეთი რეალიზაციის არსებობის შემთხვევაში. მათ შორის:

1. შპს „ბაზვი ჰაიდრო პაუერის“ და შპს „ქეი ჯი ენერჯის“ მიერ პროექტთან დაკავშირებული სამშენებლო მასალების, დამხმარე მასალების, აღჭურვილობის, მოწყობილობების და სამშენებლო სამუშაოებისათვის აუცილებელი ნებისმიერი სხვა მასალების შეძენაზე და ტრანსპორტირებაზე გადახდილი თანხები;
2. შპს „ბაზვი ჰაიდრო პაუერის“ და შპს „ქეი ჯი ენერჯის“ მიერ ტურბინების, ელექტრო და ელექტრო-მექანიკური მოწყობილობების, ელექტროგადამცემი ხაზების და სხვა აღჭურვილობის შეძენაზე, ტრანსპორტირებაზე და მონტაჟზე გადახდილი თანხები;
3. შპს „ბაზვი ჰაიდრო პაუერის“ და შპს „ქეი ჯი ენერჯის“ მიერ ჰიდროელექტროსადგურის ძირითადი ნაგებობის და საჭირო ინფრასტრუქტურის ელემენტების საპროექტო და სამშენებლო სამუშაოებზე კონტრაქტორი კომპანიებისათვის, მათ შორის დაკავშირებული მხარეებისათვის, გადახდილი თანხები;

(გაგრძელება შემდეგ გვერდზე)

დაპროექტირებულ აუდიტორთა ანგარიში (გაგრძელება)

4. შპს „ბახვი ჰაიდრო პაუერის“ თანამშრომლებისთვის გადახდილი ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელზე (მაგ. ჯანმრთელობის დაზღვევა) გადახდილი თანხები, რამდენადაც მიჩნეულია, რომ შპს „ბახვი ჰაიდრო პაუერის“ თანამშრომელთა საქმიანობა სრულად დაკავშირებულია მხოლოდ პროექტის განხორციელებასთან;
5. შპს „ბახვი ჰაიდრო პაუერის“ მიერ მანქანა-დანადგარების, სატრანსპორტო საშუალებების, საოფისე აღჭურვილობის და ავეჯის შეძენაზე გადახდილი თანხები, რამდენადაც მიჩნეულია, რომ შპს „ბახვი ჰაიდრო პაუერის“ მიერ აღნიშნული აქტივები შეძენილია მხოლოდ პროექტის განხორციელების მიზნებისათვის და ისინი არ გამოიყენება რაიმე სხვა საქმიანობაში. ამასთან, აღნიშნული თანხები შემცირებულია პროექტის მიზნებისთვის შეძენილი აქტივების რეალიზაციიდან მიღებული თანხებით, ასეთი რეალიზაციის არსებობის შემთხვევაში;
6. შპს „ბახვი ჰაიდრო პაუერის“ მიერ გადახდილი ნებისმიერი სხვა ხარჯები (მათ შორის სამილიონებო ხარჯების ანაზღაურება, ოფისის იჯარის ხარჯები, საკომუნიკაციო და კომუნალური ხარჯები, ოფისის შენახვის სხვა ხარჯები, ბანკის მომსახურება და სხვ.) რამდენადაც მიჩნეულია, რომ შპს „ბახვი ჰაიდრო პაუერის“ მთლიანი საქმიანობა სრულად დაკავშირებულია მხოლოდ პროექტის განხორციელებასთან;
7. შპს „ქეი ჯი ენერჯის“ მიერ გადახდილი ადმინისტრაციული ხარჯების მხოლოდ ნაწილი, რომელიც დათვლილია შპს „ქეი ჯი ენერჯის“ მიერ გაწეულ მთლიან სხვა ხარჯებში უშუალოდ „ბახვი 3“-ის მშენებლობასთან დაკავშირებული ხარჯების პროცენტული წილის შესაბამისად, როგორც ეს განმარტებულია თანდართული ინვესტიციების ანგარიშგების შენიშვნა 2-ში.

3. მენეჯმენტის პასუხისმგებლობა

ინვესტიციაზე ანგარიშგებაზე, თანდართული ახსნა-განმარტებების ჩათვლით, პასუხისმგებელია შპს „ბახვი ჰაიდრო პაუერის“ (შემდგომში “კომპანია”) ხელმძღვანელობა. ეს პასუხისმგებლობა მოიცავს ისეთი ფინანსური და სხვა შესაბამისი ჩანაწერების წარმოებას და შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების დანერგვასა და გამართულ ფუნქციონირებას, რაც საშუალებას იძლევა მოხდეს ინვესტიციაზე დახარჯული თანხების შესახებ ისეთი ანგარიშგების მომზადება, რომელიც არ შეიცავს შეცდომებითა თუ თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს. მენეჯმენტის პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შესაფერისი პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოებასა და შენახვას. ამ გარიგების ფარგლებში ჩვენთვის წარმოდგენილი პირველადი დოკუმენტების ნამდვილობაზე, სისწორეზე, დადგენილ ნორმებთან შესაბამისობაზე და მათი ასლების შესაბამისობაზე ორიგინალებთან აგრეთვე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა.

4. აუდიტორთა პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობა გამოვხატოთ მოსაზრება განსახილველი საკითხის შესახებ. ჩვენი სამუშაოები ჩატარდა მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტ 3000-ის (მგსს 3000), „მარწმუნებელი გარიგებები გასული პერიოდების ფინანსური ინფორმაციის აუდიტისა და მიმოხილვის გარდა“ შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტი ეხება ისეთ მარწმუნებელ გარიგებებს, რომლებიც არ წარმოადგენს მთლიანი ფინანსური ანგარიშგების ან გასული პერიოდების საფინანსო ინფორმაციის აუდიტს ან მიმოხილვას. სტანდარტი ჩვენგან მოითხოვს გარიგების დაგეგმვას ისეთნაირად, რომ იგი ჩატარდეს ეფექტურად, სტანდარტი აგრეთვე მოითხოვს განსახილველი საკითხის გასაზომად შერჩეული კრიტერიუმების შესაბამისობის შეფასებას. სტანდარტი ჩვენგან მოითხოვს ისეთი პროცედურების ჩატარებას, რომ მოვიპოვოთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები, იმისათვის რათა გამოვხატოთ ჩვენი დასაბუთებული რწმუნება განსახილველ საკითხზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

(გაგრძელება შემდეგ გვერდზე)



Accountants & business advisers

დაგოვანიერებზე აუდიტორთა ანგარიში (გაგრძელება)

5. შესრულებული სამუშაოს მოკლე მიმოხილვა

გარიგების ფარგლებში ჩვენ მივიღეთ კომპანიის მიერ მომზადებული ანგარიში ინვესტიციაზე, მოვიპოვეთ პირველადი დოკუმენტაცია (ინვოისები, ანგარიშ-ფაქტურები, საბანკო ამონაწერები და სხვ.), რომელიც საფუძვლად დაედო ანგარიშს ინვესტიციაზე, მოვიპოვეთ ახსნა-განმარტებები მენეჯმენტისაგან ანგარიშგებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. მოვიპოვეთ ხელშეკრულებები ქვეკონტრაქტორებსა და ინვესტიციების განხორციელებელ კომპანიებს შორის. შევამოწმეთ, რომ წარმოდგენილი ინვოისები შესრულებულ სამუშაოებზე ნამდვილად ეხებოდა მდინარე ბახეისწყალზე "ბახვი 3" ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პროექტს. პირველადი დოკუმენტაცია შევუდარეთ ინვესტიციაზე ანგარიშგებაში ასახულ თანხებს. შევამოწმეთ, რომ საანგარიშგებო ვალუტისაგან (აშშ დოლარი) განსხვავებულ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები წარმოდგენილ ანგარიშგებაში ასახულია შესაფერისი გაცვლითი კურსის მიხედვით.

6. ანგარიშის შეზღუდვები

ჩვენ არ ჩავვიტარებთ განხორციელებული სამუშაოების ფიზიკური დათვალიერება ან რაიმე სახის არქიტექტურული, ტექნიკური, ან საინჟინრო ინსპექტირება ან ანალიზი. რამდენადაც ეს არ შედიოდა ჩვენი სამუშაოს მასშტაბში.

ჩვენ ვერ გამოეთქვამთ რაიმე მოსაზრებას იმის შესახებ შეძლებს თუ არა კომპანია პროექტის დასრულებას და ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში გაშვებას მემორანდუმით დადგენილ ვადებში, ან დაკმაყოფილებული იქნება, თუ არა ელექტროსადგურის ტექნიკური მახასიათებლების მოთხოვნები, რამდენადაც ეს არ შედის ჩვენი სამუშაოს მასშტაბში.

სამუშაოს პროცესში ჩვენ ვეყრდნობოდით დაშვებას, რომ შპს „ბახვი ჰაიდრო პაუერის“ მიერ გაწეული ნებისმიერი დანახარჯები სრულად დაკავშირებულია მხოლოდ პროექტის განხორციელებასთან. ჩვენ არ გვაქვს რაიმე ინფორმაცია, რაც საფუძველს მოგვცემდა ეჭვი შეგვეტანა აღნიშნულ დაშვებაში.

7. მოსაზრება განსახილველ საკითხზე

ჩვენი აზრით თანდართული ანგარიში ინვესტიციებზე სამართლიანად ასახავს 2009 წლის 14 მაისიდან 2012 წლის 25 ივლისის ჩათვლით პერიოდში მდინარე ბახეისწყალზე "ბახვი 3" ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პროექტში შპს „ბახვი ჰაიდრო პაუერის“ და შპს „ქეი ჯი ენერჯის“ მიერ განხორციელებული ინვესტიციების თანხებს ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით იმ კრიტერიუმების შესაბამისად რაც აღწერილია ზევით, წინამდებარე ანგარიშის მე-2 პუნქტში.

8. ანგარიშის გამოყენების შეზღუდვა

წარმოდგენილი ანგარიში განკუთვნილია მხოლოდ საქართველოს მთავრობისათვის და შპს „ბახვი ჰაიდრო პაუერი“-სათვის და არ შეიძლება მისი სხვა მხარეებისათვის გადაცემა ჩვენი წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

PKF Georgia

PKF Georgia LLC

თბილისი

8 აგვისტო, 2012

საერთაშორისო აუდიტორთა კამპანია

FOR NON-PURPOSES ONLY

ანგარიშგება

მლინარე ბასვისწყალზე "ბახვი 3" კიდროელექტროსადგურის გშენებლობის პროექტში განხორციელებულ ინვესტიციებზე

პერიოდი: 2009 წლის 14 მაისიდან 2012 წლის 25 ივლისის ჩათვლით
თანხები წარმოდგენილია აშშ დოლარებში

ინვესტიციის კატეგორია	შეფუთვა	სულ		
		შპს ბახვი 3 გეგმვაში	შპს ბახვი 3 ჰაიდრო გაშენებაში	გადახდილი ფულადი ნახსრები
		გადახდილი თანხები		
		აშშ დოლარში		
შენიშვნა		1,255,581	3,353,705	4,609,286
ელექტრო-მექანიკური მოწყობილობები		956,957	139,800	1,096,757
შიდა და გარე ელ მოწყობილობები ტრანსფორმატორით		-	227,583	227,583
ელექტრო გადაძვები ხაზი		-	55,451	55,451
პროექტირება		277,350	-	277,350
ადმინისტრაცია და ოფისი	2	382,216	104,933	487,149
სხვადასხვა		39,313	292,522	331,835
სულ გადახდილი თანხა დღგ-ის ჩათვლით		2,911,417	4,173,994	7,085,411
გადახდილ თანხებში დღგ-ის ნაწილი	3	(276,015)	(542,844)	(818,859)
სულ გადახდილი თანხა დღგ-ის გარეშე		2,635,402	3,631,150	6,266,552

კვლასტურები:

ასელ შულენბაევა

დირექტორი
შპს ბახვი ჰაიდრო ჰაუერ

8 აგვისტო, 2012 წელი

ანგარიშის მე-2 და მე-3 გვერდებზე მოცემული აბსრა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ანგარიშის განუყოფელ ნაწილს

ანგარიშგება

მდინარე ბახვისწყალზე "ბახვი 3" კიდროელექტროსადგურის მშენებლობის პროექტში განხორციელებულ ინვესტიციას
პერიოდი: 2009 წლის 14 მაისიდან 2012 წლის 25 ივლისის ჩათვლით
თანხები წარმოდგენილია აშშ დოლარებში

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 1 – საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტები

წარმოდგენილ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია აშშ დოლარებში („საანგარიშგებო ვალუტა“), რამდენადაც ამ ვალუტაშია დაფიქსირებული მოთხოვნილი ინვესტიციის თანხა საქართველოს მთავრობასა და შპს „ბახვი ჰაიდრო პაუერს“ შორის 2009 წლის 14 მაისს გაფორმებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში. კომპანიას პროექტის განხორციელებისას ხარჯები ჰქონდა სხვა ვალუტებშიც. საანგარიშგებო ვალუტისაგან განსხვავებულ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აშშ დოლარში გადაყვანილი იქნა ინვესტიციის განმარტებული კომპანიის მიერ შესაბამისი თანხის გადახდის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული გაცვლითი კურსების გამოყენებით.

შენიშვნა 2 – ადმინისტრაციული და ოფისის ხარჯები

ადმინისტრაციული და ოფისის ხარჯები	თანხა აშშ დოლარი
ხელფასის ხარჯი	202,932
საკონსულტაციო მომსახურება	72,383
მედიონების ხარჯი	35,503
ტრანსპორტის ხარჯი	15,236
წარმომადგენლობითი ხარჯი	13,809
იჯარის ხარჯი	5,466
სატელეკომუნიკაციო ხარჯი	3,429
საკანცელარიო ხარჯი	2,267
ბანკის საკომისიო	9,764
სხვა ხარჯი	126,496
სულ ადმინისტრაციული და ოფისის ხარჯები	487,285

ადმინისტრაციულ და ოფისის ხარჯებში შპს „ექი ჯი ენერჯის“ მიერ გადახდილი ადმინისტრაციული ხარჯების მხოლოდ ნაწილია ჩართული, რომელიც დათვლილია შპს „ექი ჯი ენერჯის“ მიერ გაწეულ მთლიან სხვა ხარჯებში უშუალოდ „ბახვი 3“-ის მშენებლობასთან დაკავშირებული ხარჯების პროცენტული წილის შესაბამისად. მენეჯმენტის გაანგარიშებით შპს „ექი ჯი ენერჯის“ ადმინისტრაციული და ოფისის ხარჯების 81% შეიძლება მიეკუთვნოს „ბახვი 3“-ის პროექტს და ამ ანგარიშგებაში სწორედ ეს პროპორციაა გამოყენებული.

შენიშვნა 3 – დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ)

ინვესტიციის ანგარიშგებაში ცალკე მუხლად არის წარმოდგენილი მომწოდებლებისთვის მათგან მიღებულ მომსახურებებზე და შექმნილ აქტივებზე გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), რომელიც აკლდება მთლიან გადახდებს და მთლიანი ინვესტიციის თანხა წარმოდგენილია მომწოდებლებისათვის გადახდილი დღგ-ის თანხების გამოკლებით. დღგ-ს თანხა წარმოდგენილ ანგარიშგებაში დათვლილია გადახდილ აენსებზეც, ანუ ინვესტიციის საბოლოო თანხაში აენსად გადახდილი თანხებიც შემცირებულია დღგ-ს თანხით.

ანგარიშგებაში წარმოდგენილი დღგ-ის თანხა შესაძლოა არ იყოს აბსოლუტურად ზუსტი გარკვეული დაშვებების გამოყენების გამო. თუმცა მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ შესაძლო ცდომილება არ იქნება არსებითი. ამავე დროს ცდომილება ისეთი ხასიათის იქნება, რომ იგი შესაძლოა იწვევდეს ინვესტიციის საბოლოო თანხის შემცირებას ანგარიშგებაში და არა მის გადაჭარბებით წარდგენას.

ანგარიშგება

მდინარე ბახვისწყალზე "ბახვი 3" კიდრ(ოქლი)მტროსადგურის მშენებლობის არქიტექტურული განხორციელებულ ინვესტიციის

პერიოდი: 2009 წლის 14 მაისიდან 2012 წლის 25 ივლისის ჩათვლით
თანხები წარმოდგენილია აშშ დოლარებში

შენიშვნა 4 – დაკავშირებული მხარეები

ინვესტიციის განხორციელების მიმდინარეობის ჩვეულებრივ პროცესში ინვესტიციის განმახორციელებელი კომპანიები სხვადასხვა სამუშაოების განხორციელების მიზნით შესაძლოა მიმართავენ მათთან დაკავშირებულ მხარეებს. დაკავშირებულ მხარეებში იგულისხმება ინვესტიციის განმახორციელებელი კომპანიის მფლობელები, ინვესტიციის განმახორციელებელი კომპანიის შეიღობილი ან ასოცირებული კომპანიები (თუკი ასეთი არსებობს) და ინვესტიციის განმახორციელებელი კომპანიასთან ერთად ერთობლივი კონტროლის ან მართვის ქვეშე მყოფი კომპანიები.

კონკრეტულად ამ საანგარიშგებო პერიოდში შპს „ჯორჯიან ჰაიდრო ფაუნდ“-ისთვის, რომელიც 2009-2010 წლებში იყო შპს "ბახვი ჰაიდრო პაუერი"-ს პარტნიორი და ამჟამად დაკავშირებული მხარეა, საპროექტო სამუშაოებისათვის დღგ-ს ჩათვლით გადახდილია 277,350 დოლარი და სხვა მომსახურებებისთვის გადახდილია 181.720 დოლარი (დღგ-ს გარეშე შესაბამისად 235.042 დოლარი და 154,000 დოლარი).

ყველა ეს ოპერაცია დაკავშირებულ მხარესთან განხორციელებულია პროექტის გონივრული საჭიროებებიდან გამომდინარე და ყველა მომსახურებაზე გაწეული ხარჯები და გადახდილი თანხები შეესაბამება ზოგადად ბაზარზე არსებულ ფასებს მსგავსი მომსახურებებისათვის.

შენიშვნა 5 – აქტივების რეალიზაცია ან სხვაგვარი გასხვისება

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის პროექტის ფარგლებში შესენილი არაეითარი აქტივის რეალიზაცია ან სხვა სახით გასხვისება არ განუხორციელებია.

**ბახვი
ჰაიდრო პაუერი**

შესაქმებული პახვისხეობების საზოგადოება
საინჟინერო-კონსტრუქციო კომპანია 205270810




საქართველო, 0177 თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ.41
ტელ: (995-32) 2 395705; ფაქსი: (995-32) 2 253584

**BAKHVI
HYDRO POWER**

Limited Liability Company
ID code: 205270810

41, Vazha Pshavela Ave. 0177 Tbilisi, Georgia
phone: (995-32) 2 395705; fax: (995-32) 2 253584



31 ივლისი 2012 წ.
№B01-01/23

**საქართველოს ენერჯეტიკისა და
ბუნებრივი რესურსების სამინისტროს**

მოგახსენებთ, რომ საქართველოს მთავრობასა და შპს "ბახვი ჰაიდრო პაუერი"-ს შორის 2009 წლის 14 მაისის ურთიერთგაგების მემორანდუმისა და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ 2011 წლის 31 აგვისტოს შეთანხმების საფუძველზე, ჩვენი კომპანია გურიის რეგიონში, მდ.ბახვისწყალზე, ახორციელებს ბახვი 3 ჰესის მშენებლობას, რომლის დადგმული სიმძლავრე შეადგენს ექვს (6) მეგავატს ზემოაღნიშნული მემორანდუმის პირობების შესაბამისად. ჩვენს კომპანიას საქართველოს მთავრობის სასარგებლოდ წარმოადგენილი აქვს 1,020,000 აშშ დოლარის ღირებულების საბანკო გარანტია.

იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენს მიერ ჩატარებულმა კომპლექსურმა საინჟინერო-საპროექტო, მათ შორის ჰიდროლოგიურმა კვლევებმა, დაადასტურა ჰესის დადგმული სიმძლავრის გაზრდის შესაძლებლობა, მოგმართავთ თხოვნით, რომ მემორანდუმში სათანადო ცვლილებების შეტანის გზით, ბახვი 3 ჰესის დადგმული სიმძლავრე 6 მეგავატის ნაცვლად განისაზღვროს 9.8 მეგავატით. ამასთან ვინაიდან ჰესის მშენებლობა დაწყებულია და ჯეროვნად ვასრულებთ მემორანდუმით ნაკისრ ვალდებულებებს, გთხოვთ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 17 აპრილის N107 დადგენილებით დამტკიცებული წესის 7¹ პუნქტის საფუძველზე შევიმციროთ საბანკო გარანტიის ოდენობა და ნაცვლად 9,8 მეგტ X 170 000 = 1 666 000 აშშ დოლარისა განგვისაზღვროთ კვლავ 1 020 000 აშშ დოლარის ოდენობით.

დანართის სახით წარმოგიდგენთ ბახვი 3 ჰესის დაზუსტებულ მაჩვენებლებს.

პატივისცემით,
ასელ შულენბაევა,
დირექტორი



№	დასახელება	განზომილება	რაოდენობა
I. ტექნიკური მახასიათებლები			
1	დადგმული სიმძლავრე	მეტ	9.8
2	ენერჯის საშუალოწლიური გამოშვება	მლნ. კვტ. სთ	38.0
3	დადგმული სიმძლავრის გამოყენებული საათების რაოდენობა	სთ	3877
II. პიდროლოგიური და წყალსამეურნეო მახასიათებლები			
1	წყალშემკრები აუზის ფართი	კმ ²	75.16
2	წლიური ჩამონადენი (საშუალო მრავალწლიური)	მლნ. მ ³	139.23
მახასიათებელი ხარჯები:			
3	საშუალო მრავალწლიური,	მ ³ /წმ	4.37
	მაქსიმალური 3%-იანი უზრუნველყოფის საანგარიშო	მ ³ /წმ	123.31
	მაქსიმალური, 0.5%-იანი უზრუნველყოფის საანგარიშო	მ ³ /წმ	204.88
	მაქსიმალური, დაკვირვების პერიოდის	მ ³ /წმ	82.0, 1960წ.
4	10%-ნი უზრუნველყოფის სამშენებლო ხარჯი	მ ³ /წმ	78.16
მახასიათებელი დონეები:			
5	ნორმალური შეტბორვის დონე, ნშდ	მ	500.0
	კატასტროფული შეტბორვის დონე, კშდ	მ	501.80
	ქვედა ბიეფის, მაქსიმალური ხარჯის გატარებისას	მ	497.40
III. ნაგებობების მახასიათებლები			

1	ნაგებობების შედგენილობა		კომბინირებული ტიპის, პრაქტიკული მოხაზულობის უვაკუმო წყალსაშვიანი კაშხალი, დაბალზღურბლიანი გამრეცხი ფართით, ღია ტიპის გვერდითი წყალმიღები, ერთკამერიანი სალექარი, 2600მ სიგრძის დახურული დერეფაციული არხი აკვედუკებით, სადაწნეო აუზი, სწრაფმდენით, 920 მ სიგრძის მიწაში ჩაფლული სადაწნეო ღ ტიპის მილსადენი, ღია გამანაწილებელი ქვესადგური.
2	კაპიტალობის კლასი	-	III
	ჰიდროელექტროსადგური:		
3	ტიპი	-	დერეფაციული
	საანგარიშო დაწნევა	მ	195.0
	პესის საანგარიშო ხარჯი	მ ³ /წმ	6.0
	აგრეგატების რაოდენობა	ც	3
	ტურბინის ხარჯი	მ ³ /წმ	2.4x2+1.2=6.0
	პესის დადგმული სიმძლავრე	მკტ	9.8
	საშუალო მრავალწლიური გამომუშავება	მლნ. კვტ. სთ	38.0
	კაშხალი:		
4	ტიპი	-	კომბინირებული ტიპის, პრაქტიკული მოხაზულობის უვაკუმო წყალსაშვიანი კაშხალი, დაბალზღურბლიანი გამრეცხი ფართით
	მასალა	-	რკინა-ბეტონი
	წყალსაშვის ხარჯი	მ ³ /წმ	95.0
	გამრეცხი ფართის ხარჯი	მ ³ /წმ	110.0
	სამშენებლო სიმაღლე	მ	9.5
	სიგრძე თხემზე	მ	15.7
	ხაძირკელის გრუნტი	-	დისორიტები
	საანგარიშო სეისმურობა	ბალი	8
	წყალმიღები		
5	ტიპი	-	ღია ტიპის გვერდითი
	ზღურბლის ნიშნული	მ	497.5
	შესასვლელი კვეთის ზომები	მXმ	7.0x1.3
	სალექარი:		
6	ტიპი		პერიოდული რეცხვის
	კამერების რიცხვი	ც	1
	სიგრძე	მ	40
	სიგანე	მ	7.5
	სადერეფაციო არხი		
7	სიგრძე	მ	2600
	კვეთის ზომები	მXმ	1.8x1.8
	ქანობი		0.0025
	საანგარიშო ხარჯი	მ ³ /წმ	6.0
	სადაწნეო აუზი		
8	ტიპი	-	
	სიგრძე	მ	20.0
	უდიდესი სიგანე	მ	6.0
9	მიწაში ჩაფლული სადერეფაციო მილსადენი:		
	ტიპი		ღ

	სიგრძე	მ	920
	დიამეტრი	მმ	1800-1600-1400
V. პიდროძალოვანი მოწყობილობა			
ტურბინა			
1	რაოდენობა	ც	3
	ტიპი		ფრენსისი
	საანგარიშო დაწნევა	მ	195.0
	საანგარიშო ხარჯი	მ ³ /წმ	2.4X2+1.2=6.0
	სიმძლავრე	მგვტ	4X2+1.8=9.8
	ბრუნთა რიცხვი	ბრ/წთ	1000
გენერატორი			
2	ა) ტიპი		სინქრონული პიდროგენერატორი
	ბ) სიმძლავრე	მგვტ	5.6
	გ) ძაბვა	კვ	6.3
	დ) ცოსფ	-	0.8
ტრანსფორმატორი			
3	რაოდენობა	ც	1
	ტიპი	კვ	6.3/110
ელექტრული შეერთების ძირითადი სქემა			
4	უახლოესი ქვესადგური		ოზურგეთი
	ძაბვა	კვ	110
	გზ-ის სიგრძე	კმ	12.7